

ელენე მენაბდე-ჯობაძე,
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

Summary

ელენე მენაბდე-ჯობაძის სტატიაში: „ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მოდელი აშშ-ს მაგალითზე“ აღნიშნულია, რომ სახელმწიფო მთელი რიგი ეკონომიკური ფუნქციების შესრულებით, განვითარებული ქვეყნების სამეურნეო მექანიზმის განუყოფელი ნაწილი გახდა და აშშ ამ პროცესის ევოლუციის საილუსტრაციოდ შესანიშნავი მაგალითია. 1933 წლიდან არნახული ექსპერიმენტი დაიწყო, რომელიც ისტორიაში „ახალი კურსის“ სახელწოდებითაა შესული. გარდაქმნებს ჯ.მ. კეინზის „დასაქმების, პროცენტის და ფულის ზოგადი თეორიის“ გამოსვლის შემდეგ კეინზელობა უწოდეს. ამან საძირკველი ჩაუყარა დიდ აღმავლობას, რომელიც 1957 წლამდე გაგრძელდა. შემდგომ ზრდის ტემპებმა იკლო. კეინზისეული რეცეპტებით ფულზე მოთხოვნის სტიმულირებამ საკმარისად ვერ შეუწყო ხელი უმუშევრობის შეწოვას.

1980-იან წლებში აშშ-ის ახალი ეკონომიკური პოლიტიკის კონსერვატიული ვარიანტი „რეიგანომიკა“ მონეტარისტებისა და „მიწოდების ეკონომიკის“ მომხრეთა თეორიებს ეყრდნობოდა. ორივე მიმართულებისთვის დამახასიათებელია კაპიტალისტური ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის კრიტიკა.

2008 წლის კრიზისის შემდეგ მათულობს მონეტარიზმით იმედგაცრუება. თვით მისმა ლიდერმა მ. ფრიდმენმაც კი აღიარა: „ფულის მიწოდების მყარად ზრდა პანაცეა არაა. ის ვერ გადაწყვეტს უზარმაზარი სახელმწიფო ხარჯებით, დეფიციტებითა და გადასახადებით გამოწვეულ პრობლემებს“. ეკონომიკა არ ემორჩილება ზემოქმედების ცალკეულ ინსტრუმენტებს, არ ამჟღავნებს თვითრეგულირების შესაძლებლობებს....უეჭველია ეკონომისტები შეეცდებიან თეორიის მოდიფიცირებას საიმისოდ, რომ უკეთ მიუსადაგონ იგი რეალურ ეკონომიკურ სიტუაციას.

საკვანძო სიტყვები: მაკროეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, დასაქმება, უმუშევრობა, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, კეინზი, ფრიდმანი, რეიგანომიკა, მონეტარიზმი.

The state has become an integral part of the economic mechanism of developed countries by performing a number of economic functions and the US is an excellent example of the evolution of this process. An unprecedented experiment started in 1933, entitled “New Course” in history. The transformations were called keineasms in J.M. After the release of Keynes’ “Employment, Interest and General Theory of Money”. It laid the foundation for a great upturn that lasted until 1957. Further growth rates have been reduced. Stimulation of money demand by Keynesian recipes did not help sufficient absorption of unemployment.

In the 1980s, the conservative version of the US new economic policy “Reaganism” was based on the theory of monetary and “supply economics.” Both sides are characterized by critique of state interference in the functioning of capitalist economy.

After the crisis in 2008, the monetary frustration is growing. Her own leader Friedman even admitted: “The steady growth of money supply is not a panacea, it can not solve the problems caused by enormous state spending, deficits and taxes.”

Economics does not obey individual instruments of influence, does not show self-regulation. No doubt economists will try to modify the theory to better adapt to the real economic situation.

Keywords: macroeconomics, economic policy, state regulation of economy, employment, unemployment, economic growth, inflation, keinzie, friedman, regenomics, monetarism.

სახელმწიფო მთელი რიგი ეკონომიკური ფუნქციების შესრულებით, განვითარებული ქვეყნების სამეურნეო მექანიზმის განუყოფელი ნაწილი გახდა. აშშ შესანიშნავი მაგალითია ამ პროცესის ევოლუციის საილუსტრაციოდ.

აშშ-ში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება თავდაპირველად მიზნად ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშეწყობას ისახავდა. 1816 წელს პრეზიდენტმა მედისონმა მიიღო ეროვნული ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომელიც პროტექციონისტური ტარიფების სისტემას, საბანკო და მინის კანონმდებლობას ეყრდნობოდა, რაც მალევე “ამერიკულ სისტემად” მონათლეს. 20-იან წლებში მიიღეს კანონი კორპორაციების შესახებ, რომელიც ჩაფიქრებული იყო, როგორც საზოგადოებრივი ინტერესებისადმი ბიზნესის დაქვემდებარების საშუალება. 1897 წ. საერთაშორისო ვაჭრობის, ხოლო 1890წ. შერმანის ანტიტრესტული კანონი იქნა მიღებული.

XXს. 20-იანი წლები ამერიკისათვის ეკონომიკური თვალსაზრისით განსაკუთრებით წარმატებული იყო, მაგრამ 1929 წელს იგი, ისე როგორც ყველა სხვა წამყვანი ინდუსტრიული ქვეყანა, ღრმა კრიზისმა მოიცვა. ასეთ ვითარებაში, რუზველტის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, 1933 წლის 4 მარტიდან, არნახული ექსპერიმენტი დაიწყო, რომელიც ისტორიაში “ახალი კურსის” სახელწოდებითაა შესული. ამ გარდაქმნებს იმ ეკონომიკური პოლიტიკის მრავალი ნიშანი ჰქონდა, რომელსაც ჯ.მ. კეინზის “დასაქმების, პროცენტის და ფულის ზოგადი თეორიის” გამოსვლის შემდეგ კეინზელობა უწოდეს. თუმცა “ახალი კურსის” კონცეფციის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ლიბერალურ-რეფორმისტული მიმართულების საზოგადოებრივმა აზრმაც ითამაშა.

“ახალი კურსის” პოლიტიკის არსი პირველ პლანზე ეკონომიკური ცხოვრების რეგულირების პროცესებში სახელმწიფოს აქტიურ ჩართვაში მდგომარეობდა. (1933წ. დასაწყისში) რუზველტმა ორი უმნიშვნელოვანესი კანონი მიიღო: “კანონი ეროვნული მრეწველობის აღდგენის შესახებ”; “კანონი სოფლის მეურნეობის რეგულირების შესახებ”.

სახელმწიფოს აქტიურად მონაწილეობით, პირველს მრეწველობის რეორგანიზება უნდა მოეხდინა, შეემცილებინა უმუშევრობა, ბოლო მოეღო მუშების ხარჯზე კონკურენციისათვის, უზრუნველყო საწარმოო სიმძლავრეების უფრო სრულად დატვირთვა, აემაღლებინა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი. 1938 წელს, რუზველტისადმი გაგზავნილ წერილში, კეინზი სახელმწიფო დანახარჯების გადიდებას და მოთხოვნის გამოცოცხლებას ურჩევდა.

საინტერესოა, რომ ჯ.მ. კეინზმა გააკრიტიკა კანონის ზოგიერთი დებულება. მისი აზრით ფიქსირებული ფასების შემოღება, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის სათანადოდ გადიდების გარეშე, ვითარებას ვერ შეცვლიდა. იგი დაჟინებით მოითხოვდა სამთავრობო დანახარჯების სერიოზულ გაფართოებას სახელმწიფო ვალის ზრდის ხარჯზე. ანუ “ახალი

კურსის” პირველსავე თვეებში, წინადადებას იძლეოდა დაფინანსების დეფიციტურ პრაქტიკას დაყრდნობდნენ. 1935-36 წლებში ორივე კანონი არაკონსტიტუციურად ცნეს და გააუქმეს. მათი ამოცანა იყო ფასების კრიზისულ დაცემასთან ბრძოლა. ამ დროისათვის კეინზის თეორიამ სულ უფრო მეტი მომხრეები გაიჩინა. კრიზისმა რუზველტი აიძულა 1938 წელს საბოლოო არჩევანი გაეკეთებინა და ე.წ. “დღეშით დატუმბვის” გეგმის განხორციელების აუცილებლობა გამოაცხადა – მოთხოვნის გადიდება სახელმწიფო სახსრების ახალი ინექციების მეშვეობით. ეს გეგმა კონგრესმა მოიწონა.

მეორე მსოფლიო ომმა ხელი შეუწყო ამერიკის ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდას, მალე კი აშშ თვითონაც ჩაება საომარ მოქმედებაში. ომის დასასრულისათვის საომარი მიზნებისათვის წარმოებულ სამუშაოებში ჩაბმული იყო აშშ-ის მთელი საწარმოო რესურსების თითქმის ნახევარი. უმუშევრობა გაქრა. ქვეყანა ომიდან გამოვიდა დიდი სავალუტო აქტივებითა და ფულადი დანაზოგებით. სამაგიეროდ ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონლის, ბინების, საწარმოო შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების უკიდურეს ნაკლებობას განიცდიდა. ამან საძირკველი ჩაუყარა დიდ აღმავლობას, რომელიც 1957 წლამდე გაგრძელდა. კორეაში წარმოებულმა ომმა კიდევ უფრო გაამწვავა არსებული ვითარება. შემდგომ ზრდის ტემპებმა იკლო, სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა ამერიკის კონკურენტუნარიანობის დაცემა ასახა. მთავარ საშინაო პრობლემად უმუშევრობის და ინფლაციის შერწყმული ფორმა — სტაგფლაცია იქცა.

სტაგფლაციის ანალიზი მოითხოვს დავადგინოთ იმის მიზეზი, თუ რატომაც შენარჩუნებული: 1) მაღალი ინფლაცია წარმოების კრიზისულ შემცირებათა პერიოდში, ე.ი. სტაგნაცია ვიწრო გაგებით; 2) უმუშევრობის მაღალი დონე ეკონომიკური აღმავლობის დროს.

ორი პერიოდის — 1974-1975 წლების კრიზისის და 1976 — 1979 წლების აღმავლობის ანალიზი მოწმობს, რომ სტაგფლაცია იმ პირობების კომპლექსითაა გამოწვეული, რომელიც ახალ ტექნოლოგიურ და სტრუქტურულ ძვრებს, მონოპოლისტური კომპანიების საქმიანობას, სახელმწიფოს ფუნქციონირებას (განსაკუთრებით მის ფულად და საბიუჯეტო პოლიტიკას), მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე პროცესებს და ა.შ. უკავშირდება კეინზიესული რეცესიებით ფულზე მოთხოვნის სტიმულირებამ საკმარისად ვერ შეუწყო ხელი უმუშევრობის შეწოვას. ანტიინფლაციური პოლიტიკის ორი მიმართულება, რომლებიც კეინზის პოსტულატებს უკავშირდებოდა (ყოველ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგებოდა მათ) — ფულზე მოთხოვნის შემცირებისაკენ მიმართული დეფიციტური პოლიტიკა და ფასებისა და ხელფასების ზრდის შეკავებისაკენ მიმართული “შემოსავლების პოლიტიკა” — უძლური აღმოჩნდა 70-იანი წლების ინფლაციის წინაშე. ამან ეკონომიკური პოლიტიკის ახალი კონსერვატული პოლიტიკის წარმოშობა

გამოიწვია, რომელმაც თავის მიზნად სტაგფლაციის სრული დამარცხება გამოაცხადა.

თავისი ეკონომიკური პროგრამა სახელწოდებით “ამერიკის ახალი სანყისი: ეკონომიკური აღმავლობის პროგრამა” რ. რეიგანმა 1981 წლის 18 თებერვალს გამოაქვეყნა. ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი თემები იყო: ინფლაციის შებოჭვა; ამერიკის ეკონომიკაში უძრაობის დამთავრება.

აშშ-ის ახალი ეკონომიკური პოლიტიკის კონსერვატიული ვარიანტი “რეიგანომიკა” მონეტარისტებისა და მიწოდების ეკონომიკის” მომხრეთა თეორიებს ეყრდნობოდა. ორივე მიმართულებისთვის დამახასიათებელია კაპიტალისტური ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის კრიტიკა. “მიწოდების ეკონომიკის” თეორეტიკოსები საფუძვლად იღებენ თავისუფალი კონკურენციის მექანიზმის შეუფერხებლად ფუნქციონირებას, მონეტარისტები კი ყურადღებას ანტიინფლაციურ ღონისძიებებზე ამახვილებენ.

მონეტარისტები უარყოფენ ინფლაციას და უმუშევრობას შორის ორმხრივ ურთიერთკავშირებს, ყოველ შემთხვევაში — გრძელვადიან ასპექტში მაინც. მათი შეხედულებების თანახმად, ინფლაცია იწვევს უმუშევრობას, ინფლაციის მიზეზი კი ზომავადასული ფულის მიმოქცევაა, რაც ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერებას უკავშირდება. აქედან გამომდინარე, მონეტარისტული კონცეფცია სტაგფლაციის წინააღმდეგ მთელი ძალისხმევის თავმოყრას ითვალისწინებს ინფლაციასთან ბრძოლაში, განსაკუთრებით ფულის მასის შეზღუდვისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების ხაზით; ამ ბრძოლაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში, მონეტარისტების აზრით, უნდა მოველოდეთ უმუშევრობის თანდათანობით შემცირებას, რაც სტაგფლაციის საბოლოოდ დამარცხებას უნდა ნიშნავდეს.

ფრიდმანმა დაუფარავად სცადა დაემტკიცებინა, რომ ინფლაცია უმუშევრობას იწვევს. თვით სტაგფლაციის ფენომენი, რომელსაც ჩვეულებრივ, მონეტარისტები ზემოთ აღნიშნული დებულების დასამტკიცებლად ეყრდნობიან, მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ინფლაციას და უმუშევრობას შორის ორმხრივი ურთიერთკავშირები გართულებულია. კერძოდ, იგი იმ ფაქტს ასახავს, რომ 70-იან წლებში აშშ-ის ეკონომიკაში სტაბილური ფასების შესანარჩუნებლად მეტი უმუშევრობაა საჭირო, ვიდრე ვთქვათ 60-იან წლებში. თვით ურთიერთკავშირი კი მაინც ინარჩუნებს თავის ძალას.

რეიგანის ადმინისტრაციის თავდაპირველი პროგრამის ძირითად ამოცანად გამოცხადებული იყო საბიუჯეტო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნებოდა ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის ჯერ სწრაფად შემცირებისაკენ, 1984 საფინანსო წელს კი — მისი აღმოფხვრისაკენ. ამ მიზნის მიღწევის მთავარ საშუალებად შემოთავაზებული იყო დანახარჯების მკვეთრად შემცირება სოციალურ და სამოქალაქო საჭიროებებზე, აგრეთვე ფულის მასის ზრდაზე მკაცრი კონტროლის დანერგვა, რასაც ორ-

ჯერ უნდა შეემცირებინა მისი ზრდის საშუალოწლიური ტემპი 1980-1986 წლებში. კერძო მენარმეთა საქმიანობის გააქტიურებისათვის 1981-1984 წლებში განზრახული იყო კორპორაციებზე და მოსახლეობის უმდიდრეს ფენებზე გადასახადების შემცირება კაპიტალდამანდებლათა დაბრუნებისათვის ფონდების ზრდის მიზნით.

რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება იყო, აგრეთვე, იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგლამენტაციის პოლიტიკის მთელი რიგი პირდაპირი ფორმების გაუქმებას უკავშირდებოდა. საუბარია ეკონომიკის სფეროების დერეგულირებასა და სამეურნეო საქმიანობის იურიდიული რეგლამენტაციის შესუსტებაზე (თვით ანტისტრესულ კანონმდებლობამდე), აგრეთვე, ეკონომიკის ცალკეული სეგმენტების პრივატიზებაზე. მთავრობის სტრატეგიის შემოქმედთა აზრით, ყოველივე ამას საბაზრო ძალების განთავისუფლებით თავის უნდა შეენყო ხელი.

რეიგანი ამერიკის პირველი პრეზიდენტი იყო, რომელმაც ამგვარ მადერეგლამენტირებელ ღონისძიებათა კომპლექსი სახელმწიფო მაკროეკონომიკური სტრატეგიის ტრადიციული ძირითადი ელემენტების საბიუჯეტო და საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის დონემდე აიყვანა.

ანტიტრესტული კანონმდებლობის მნიშვნელოვან ლიბერალიზაციასთან ერთად არსებითი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა შემდეგ ღონისძიებებს: ნავთობსა და გაზზე ფასების ფედერალური კონტროლის ვადამდე გაუქმება, ხელფასის და ფასების “ნებაყოფლობით” შეზღუდვის პროგრამის ლიკვიდირება, ნორმატიული რეგულირების შესუსტება (გარემოს დაცვის სტანდარტების ჩათვლით), ვიცე-პრეზიდენტის ხელმძღვანელობით დერეგულირების სპეციალური ჯგუფის შექმნა, რომელსაც ამ დარგის მრავალფეროვან ღონისძიებათა ცენტრალიზებული კოორდინირება უნდა განეხორციელებინა.

კონსერვატიული სტრატეგია ითვალისწინებდა ბიუჯეტის სოციალური ხარჯების შეზღუდვას, მაგრამ ადმინისტრაცია დიდ პოლიტიკურ წინააღმდეგობას წააწყდა და იძულებული გახდა თავდაპირველი გეგმიდან გადაეხვია. ამის მიუხედავად, მან მრავალი მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამის შეზღუდვა მაინც მოახერხა, რისთვისაც მანამდე ხელშეუხებელ სისტემებს — უმუშევრობას და ხანდაზმულობის დაზღვევას შეეხო.

რეიგანის ადმინისტრაციის დროს გარდაქმნის სტრატეგია გულისხმობდა საკრედიტო ფულადი რეგულირების ცნობილ გაფართოებას, უწინარეს ყოვლისა, იმაში, რაც ფულის მასისა და ბანკის კრედიტის “არაინფლაციური” ზრდის თანმიმდევრულად განხორციელებას ეხება.

“რეიგანომიკამ” გააღრმავა 1980-1982 წლების ეკონომიკური კრიზისი, რასაც წარმოების მნიშვნელოვნად დაცემა და უმუშევრობის ნახტომისებური ზრდა მოჰყვა. სწორედ ამ ბაზაზე მოხდა ინ-

ფლაციის შესამჩნევად კლება, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა კავშირი ინფლაციასა და უმუშევრობას შორის.

ინფლაციის შეკავებას მთავრობა მთელი ძალით იყენებს თავისი ეკონომიკური სტრატეგიის წარმატებათა პროპაგანდისტული რეკლამირებისათვის. ადმინისტრაცია იმედებს ამყარებდა იმაზე, რომ ერთი მხრივ საგადასახდლო შეღავათების ხარჯზე მოგების სტიმულირებით, ხოლო მეორე მხრივ, ფულის მასის „ლიბერალური“ გადიდების ხარჯზე წარმოების ზრდით დაძლევა სარგებლის მაღალი განაკვეთების ნეგატიურ ზეგავლენას და შეინარჩუნებდა ეკონომიკის აღმავლობას. ამავე დროს, ფასების ინფლაციური ზრდა მაღალი უმუშევრობის, ფულის მასის შედარებით სწრაფად ზრდისა და ბიუჯეტის უკიდურესად დიდი დეფიციტის პირობებში, ადმინისტრაციის მოსაზრებით ზომიერი დარჩებოდა. ინფლაციის ახალი დაჩქარება (კერძოდ, ფულის მასის მკაცრად შეზღუდვის პოლიტიკაზე უარის თქმამ განგაში გამოიწვია მონეტარისტებში), რომელიც ამგვარმა საბიუჯეტო და ფულადმა პოლიტიკამ განაპირობა.

2008-2009 წლების კრიზისი მრავალი ფაქტორის ერთდროულად მოქმედების შედეგი იყო. ლიტერატურაში განხილვადი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია:

- დიდი ხნის განმავლობაში, ზედმეტად პერბილუბული მონეტარული პოლიტიკის გატარება, რომელმაც ზედამხედველობისა და რეგულაციების სტანდარტების გაუარესებასთან ერთად, ხელი შეუწყო სუბსტანდარტული იპოთეკების კრიზისის წარმოქმნას და გარღმავებას. რაც, ახალი ფინანსური დერივატივების გავრცელებასთან ერთად, გლობალური ფინანსური კრიზისის წინაპირობა აღმოჩნდა;

- გლობალური ფინანსური დისბალანსი. განვითარებად და სწრაფად მზარდ ქვეყნებში დანაზოგის ზრდა შეწყვილებული მათ უუნარობასთან უზრუნველყონ შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტები ამ დანაზოგის დაბანდებისთვის, რამაც გაზარდა მოთხოვნა განვითარებული ქვეყნების (პირველ რიგში აშშ-ს) ფინანსურ ინსტრუმენტებზე და გარკვეულწილად ხელი შეუწყო იმ ფინანსური დერივატივებისა და ფასიანი ქაღალდების პოპულარიზაციასა და გავრცელებას, რომლებიც უშუალო მიზეზს წარმოადგენდა აშშ-ს კრიზისის „გლობალიზაციისა“. რა თქმა უნდა, ორივე აზრი, გამყარებული კვლევებითა და მოდელებით, იმსახურებს ყურადღებას, და მთლიანობაში გლობალური ფინანსური კრიზისის წარმომავლობა, მასშტაბი და გავრცელება მსოფლიოში ამ ორივე ფაქტორით აიხსნება. ლიტერატურაში არაა მიღწეული კონსენსუსი, თუ რომელი ფაქტორი იყო უფრო მნიშვნელოვანი და არც რაიმე ემპირიული კვლევა ეძღვნება იმას, თუ რა წვლილი შეიტანა ან ერთმა ან მეორე ფაქტორმა კრიზისში.

ეკონომიკურ მეცნიერებას არა აქვს ინფლაციასთან და ბიუჯეტის დეფიციტთან ერთდროულად ბრძოლის რეცეპტი. მატულობს მონეტარიზმით იმედგაცრუება. თვით მისმა ლიდერმა მ. ფრიდმენ-

მაც კი აღიარა: “ფულის მიწოდების მყარად ზრდა პანაცეა არაა. ის ვერ გადაწყვეტს უზარმაზარი სახელმწიფო ხარჯებით, დეფიციტებითა და გადასახადებით გამოწვეულ პრობლემებს”, და კიდევ: “სწორ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას თავისთავად არ შეუძლია სწორი ეკონომიკის განკურნება” — ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ამერიკელი ეკონომისტის რ. ტორნის ნათქვამი: “ბოლო წლების გამოცდილებამ ცუდ დღეში ჩააგდო კეინსელებიც და მონეტარისტებიც. ეკონომიკა არ ემორჩილება ზემოქმედების ცალკეულ ინსტრუმენტებს, არა და არ ამჟღავნებს თვითრეგულირების შესაძლებლობებს,... თუმცა ეკონომიკის რეგულირების სტაბილიზაციური ღონისძიებები პოლიტიკურ პლანში უარყოფილი არ იქნება. შეჭველია ეკონომისტები შეეცდებიან თეორიის მოდიფიცირებას საიმისოდ, რომ უკეთ მიუსადაგონ იგი რეალურ ეკონომიკურ სიტუაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კეინსი ჯონ, „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“, ქუთაისი, 1995 წ.;
2. ა. სილაგაძე, მონეტარული მაკროეკონომიკა - მილტონ ფრიდმანი, მიკრო მაკრო ეკონომიკა, 2001, №12;
3. ე. მენაბდე-ჯობაძე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების წარმატებული მოდელები, ჟ. „ეკონომიკა“ №11-12, 2008 წ.;
4. <https://www.bloomberg.com/news/articles/2014-10-30/why-john-maynard-keynes-theories-can-fix-the-world-economy>
5. <http://www.focus-economics.com/countries/united-states>